კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციცინო ბუკია,

CIU-ს ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

კრიმინალი მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. სამწუხაროდ, 2024 წლის პირველ ნახევარშიც მედიის ყურადღების ეპიცენტრში განსაკუთრებით მძიმე კრიმინალური შემთხვევები მოექცა. კრიმინალის გაშუქება უურნალისტებისგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ვინაიდან, არასწორად გავრცელებულმა ამბავმა, განსაკუთრებით მძიმე ფაქტების გაუღრუბამ და შემთხვევის დეტალურმა აღწერამ დაუცველობის, შიშის და პანიკის განცდასთან ერთად შეიძლება მიმბაძველობისა და დანაშაულის წახალისების შემთხვევებიც გამოიწვიოს. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიმინალურ საქმეში მონაწილე ყველა მხარის ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

იდენტიფიცირების წესების გათვალისწინება, ფოტო-ვიდეო და აუდიო მასალის სწორად გამოყენება და ა.შ

ნაშრომი განიხილავს, 2020 წლის ივნისში, 19 წლის ქართველი ფეხბურთელის, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმის გაშუქებას ქართულ სატელევიზიო მედიაში (იმედი, მთავარი არხი და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი). გამოკვეთს კონკრეტული საქმის გაშუქებისას დაფიქსირებულ ტენდენციებს, ეთიკური და პროფესიული გადაცდომების შემთხვევებსა და მისი შესწავლის შედეგად წარმოაჩენს კრიმინალის სწორად გაშუქების რეკომენდაციებს. შაქარაშვილის საქმე იმდენად რეზონანსული იყო, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მედია აქტიურად აშუქებდა და თვითონვე აწარმოებდა ალტერნატიულ გამოძიებას.

საკვანძო სიტყვები: გიორგი შაქარაშვილის საქმე, გაშუქების პოლიტიკური მდგენელი, ეთიკური გადაცდომები, კრიმინალის გაშუქება.

Political and ethical violations of the coverage of Giorgi Shakarashvili's case (on the example of "Imedi", "Main Channel" and "First Channel of Public Broadcasting" TV companies)

Mariam Margia

Caucasus International University,

Doctoral,

Scientific Supervisor: Tsitsino Bukia,

CIU Associate Professor, Doctor of Social Sciences

Crime is a global problem, and Georgia is no exception. Unfortunately, even in the first half of 2024, particularly serious criminal cases became the epicenter of media attention. Reporting of crime requires special responsibility from journalists. Since, the wrongly spread story, especially the disclosure of hard facts and the detailed description of the incident, together with the feeling of insecurity, fear and panic, can also lead to cases of imitation and encouragement of crime. Also, it is especially important to protect the interests of all parties involved in a criminal case. Consideration of identification rules, correct use of photo-video and audio material, etc

The paper examines the coverage of the murder of 19-year-old Georgian football player Giorgi Shakarashvili in June 2020 in the Georgian television media (Imedi, the main channel and the first channel of the public broadcaster). It highlights the trends observed in the coverage of a specific case, the cases of ethical and professional misconduct and, as a result of its study, presents recommendations for proper coverage of crime. Shakarashvili's case was so resonant that the media actively covered it for several months and conducted an alternative investigation.

Keywords: Giorgi Shakarashvili's case, political author of coverage, ethical misconduct, criminal coverage.

ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა

ლიზი კუჭუაშვილი / ანა ამბიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,

CIU-ს ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კაცობრიობამ შეაბიჯა თავისი განვითარების ახალ ეპოქში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი დაპირისპირებული ბლოკის (კაპიტალისტური-აშშ, სოციალისტური-სსრკ) ჭიდილი დასავლეთის გამარჯვებით დასრულდა. ამ დაპირისპირების მოსპობამ სათავე დაუდო ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულს“, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ომების პერიოდი მთავრდებოდა. მეორე მხრივ, სამუელ ჰანტინგტონმა თავის ნაშრომში „ცივილიზაციათა დაპირისპირება“ ივარაუდა ერებს შორის გარდაუვალი კონფლიქტები. ბევრი მკვლევარი ფიქრობს რომ თანამედროვეობის მთავარი პრობლემა არც იდეოლოგიურ, არც ეკონომიკურ და არც გეოპოლიტიკურ, არამედ ეთნოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რაც გამოხატულია ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში. ეს არის წინააღმდეგობა ნაციონალიზმსა და უმცირესობების ნაციონალიზმს შორის. საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი ერთა თვითგამორკვევის შესახებ ხალხებს ანიჭებს უფლებას გარკვეულ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად წარმართონ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები, შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან შეუერთდნენ სხვას. აღნიშნული ფუნდამენტური პრინციპით ირღვევა საერთაშორისო სამართლის სხვა ფუნდამენტური პრინციპი, კერძოდ, ტერიტორიის უცვლელობის და საზღვრების ურღვევობის პრინციპი. მსოფლიოში, სადაც ოთხიათასზე მეტი ენაა და ასეულობით ეთნიკური ჯგუფი, ყველა მათგანმა, რომ სახელმწიფოს შექმნის პირობა წამოაყენოს საერთაშორისო სისტემას ქაოსი მოიცავს. ქურთების პრობლემა მწვავე საკითხია დღესდღეისობით, რადგან ისინი ცხოვრობენ სირიის, თურქეთის, ერაყის, ირანის ტერიტორიაზე და სურთ ამ სახელმწიფოების ხარჯზე ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რაც არღვევს აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიის უცვლელობის პრინციპს. მსოფლიო უდიდესი საფრთხის წინაშე დგას და ფაქტია, აღნიშნული დილემის მოგვარება გრძელვადიანი პროცესია.

საკვანძო სიტყვები: ნაციონალიზმი, ერი-სახელმწიფო, საერთაშორისო სისტემა, გლობალიზაცია.

Nationalism in the modern world and international security system

Lizi Kutchuashvili / Ana Ambidze

Caucasus International University,

Bachelor,

Scientific Supervisor: Aliko Guchua,

CIU Associate Professor, Doctor of Political Science,

At the end of cold war, the mankind has stepped into a new age of its development. Rivalry of two confronted blocks (capitalistic – USA and socialistic - USSR) since the World War II has ended with

western victory. The end of this confrontation has formed a basis for Francis Fukuyama`s “The end of history”, according to which the period of wars was ending. From the other side, Samuel Huntington in his work “Clash of civilizations” has supposed a number of inevitable conflicts between the nations. Many researchers think that main issue of the modern era bears no ideological, nor economic or geopolitical, but ethnopolitical nature, which is expressed in the confrontation between the ethnic minorities. This is the resistance between the nationalism and the nationalism of minorities. A fundamental principle of international law about self-determination of nations entitles the peoples of the world to independently lead the political, economic and cultural processes on some particular territory, form an independent state or join the other one. The mentioned fundamental principle violates another fundamental principle of international law, in particular the principle of territorial integrity, unity and uti possidetis juris. In the world with more than four thousand languages and hundreds of ethnic groups, if each of them will declare their term about formation of the state, then international system will be thrown into chaos. Today the issue about Kurdish people constitutes quite urgent topic as they live on the territories of Syria, Turkey, Iraq and Iran and they wish to form a Republic of Kurdish People on the lands of these countries, that violates the territorial integrity and unity principle of these countries. The world faces the biggest threat ever and actually it`s a long-term process to solve the mentioned dilemma.

Keywords: nationalism, nation and the state, international system, globalization.

კორპორაციული კონგლომერატები

გიორგი მუკბანიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ხატიძე,
CIU-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი

თეზისი შეეხება კანონის როლს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის ურთიერთქმედებათა რეგულირების ნაწილში, რაც გვთავაზობს კონგლომერატების, როგორც ერთ სუბიექტად გაერთიანებული და ჩამოყალიბებული წარმონაქმნის არსებობის შესაძლებლობას და კორპორაციულ სივრცეში მისი ამ ფორმით ფუნქციონირებას.

პროფესორი ფილიპ ბლუმბერგი მხარს უჭერს ზემოხსენებულ მიდგომას და ხაზს უსვამს საზღვრებს მიღმა კორპორაციული რეგულირების საჭიროებას. ვაჟა-ფშაველას „პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის“ იდეასთან პარალელების გავლებით, თეზისი ამტკიცებს ერთიანი გლობალური პერსპექტივის საკითხს კორპორაციული მართვის სფეროში. იგი ხაზს უსვამს კორპორაცია „ამაზონის“ შემთხვევას, როგორც გლობალური კორპორაციების მოდელს და განიხილავს იმ იურიდიულ მეთოდებს, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტრანზაქციებს. თეზისის ფარგლებში განვიხილავთ კონგლომერატების ისტორიულ ევოლუციას და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ სირთულეებს. აქცენტს

გავაკეთებთ არსებულ გამოწვევებზე და სპეციალიზებული სამართლებრივი დოქტრინების საჭიროებაზე.

თეზისის მიხედვით იდენტიფიცირებულია ძირითადი სამართლებრივი განსხვავებები დამოუკიდებელ კომპანიებსა და კონგლომერატებს შორის, მათ შორის პასუხისმგებლობა, ფიდუციარული ვალდებულებები, გამჭოლი პასუხისმგებლობა, ზედამხედველობა და სხვ. თეზისი გვთავაზობს სამართლებრივი ჩარჩოს არსებობას, რომელიც არეგულირებს კორპორაციული იმპერიების, იგივე კონგლომერატების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული კონგლომერატები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალურ კომპანიები.

Corporate Conglomerates

Giorgi Mukbaniani

Caucasus International University,
Doctoral,

Scientific Supervisor: Giorgi Khatidze,
CIU Professor, Doctor of law

This thesis will cover the role of law in line with regulation of interactions between international organizations and transnational companies, which provides us with opportunity for existence of conglomerates as an established formation united in the single subject and its functioning in the corporate area under this form.

Professor Philip Bloomberg supports the above-mentioned approach and underlines the need of corporate regulation beyond the borders. By drawing the parallels with idea about patriotism and cosmopolitanism by Vazha-Pshavela, this thesis strengthens the topic on united global perspective in corporate management. He underlines the case of corporation “Amazon”, as the models of global corporations and discusses the legal methods, those which promote the international transactions. In this thesis we will overview historic evolution of conglomerates and the legal difficulties related to their functioning and operation. We focus on existing challenges and the need of specialized legal doctrines.

According to this thesis there are identified basic legal differences between independent companies and the conglomerates, including the responsibility, fiduciary liabilities, piercing responsibility, supervision, etc. This thesis offers existence of legal frames, which regulates the legal challenges related to functioning and operation of corporate empires – same as conglomerates.

Keywords: corporate conglomerates, international organizations, transnational companies.

კატალონიური სეპარატიზმი- ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა

ქეთი ბიძინაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატი,

ბაკურ ხუბულავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

დოქტორანტურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა,

CIU-ს ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თანამედროვე პერიოდში ევროპაში მიმდინარე სეპარატისტულმა პროცესებმა, ცხადჰყო, რომ მსოფლიო მიიღტვის ახალი გეოპოლიტიკური წესრიგისკენ, რომელსაც თან ახლავს კონფლიქტები და გარკვეული დაპირისპირებები საზოგადოებებს და სახელმწიფოებს შორის. სეპარატისტული პროცესები კი ხელს უწყობენ, ამ პროცესის დაჩქარებას და უფრო რთულ ფაზაში გადასვლას. რისი ნათელი მაგალითიც გახლავთ 2017 წელს კატალონიაში გამართული რეფერენდუმი, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასხვლა და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის სურვილი მთელი ევროპის მასშტაბით. შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები საფრთხეს უქმნის, როგორც ქვეყნების და რეგიონის ასევე მთლიანად ევროპის კონტინენტის ერთიანობას და უსაფრთხოებას.

ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკურ მეცნიერებაში ძალზედ აქტუალურ თემას. მისი აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე საერთაშორისო მოვლენების და საერთაშორისო სისტემის მზარდი ცვალებადი ტენდენციით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რეგიონალური მოძრაობები, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკური მიზნები სხვადასხვა აქტორების თუ ჯგუფების და ამის ფონზე კონკრეტული სეპარაციული რეგიონის ინტერესები და მისწრაფებები.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სისტემა, კატალონიური სეპარატიზმი, ფისკალური პოლიტიკა, ეკონომიკური უთანასწორობა.

Catalonian separatism – fiscal policy and economic imbalance

Keti Bidzinashvili

Caucasus International University,

Bachelor,

Bakur Khubulava

Caucasus International University,

Doctoral,

Scientific Supervisor: Aliko Guchua

CIU Associate Professor, Doctor of Political Science

Existing separatist processes of modern period have showed that world strives for new geopolitical order, which is accompanied by conflicts and some particular confrontations between the societies

and the countries. Separatist processes promote acceleration of this process transforming it into more complex phase the spectacular example of which is a referendum held in Catalonia in 2017, Great Britain`s exit from European Union and a will for formation of new countries throughout the whole Europe. Therefore, the processes listed above undermines the unity and security of countries, region and the whole Europe as well.

The work is dedicated to extremely urgent topic in political science. Its urgency is conditioned by increasingly changing tendency of modern international events and international system, important amongst of which is regional movements aiming to acquisition of autonomy and independence. Work overviews interests and aspirations of some particular separative region on the background of geopolitical goals of different actors and the groups.

Keywords: international system, Catalanian separatism, fiscal policy, economic imbalance.

პროპაგანდის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ მედიასივრცეზე

დავით დოლიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ვეკუა,
პროფესორი, უურნალისტიკის დოქტორი

ნაშრომი განიხილავს პროპაგანდის გავლენას თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ მედიასივრცეზე. დავინწყით იქედან, რომ პროპაგანდა არის კომუნიკაციის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს გავლენა მოახდინოს საზოგადოების დამოკიდებულებაზე რაიმე მიზეზის ან პოზიციის მიმართ არგუმენტის მხოლოდ ერთი მხარის წარმოდგენით. იგი მოიცავს რეალობის, შეხედულებებისა და ფილოსოფიების მიზანმიმართულ გაზიარებას, რომლებიც მიზნად ისახავს ქცევის შეცვლას და ადამიანების მოქმედების სტიმულირებას. იგი არის ერთგვარი დარწმუნების ფორმა, რომლის დროსაც ხდება განზრახვით, ცალმხრივი ინფორმაციის კონტროლირებადი გადაცემა საზოგადოებისთვის, მასმედის საშუალებით. შესაბამისად, მასმედია და პროპაგანდა განუყოფელია.

პროპაგანდას ჩვეულებრივ ქმნიან მთავრობები, მაგრამ სხვა ძლიერი ორგანიზაციების მიერ შექმნილი მასობრივი კომუნიკაციის ზოგიერთი ფორმაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს პროპაგანდად. ინფორმაციის მიუკერძოებლად მიწოდებისგან განსხვავებით, პროპაგანდა, მისი ძირითადი გაგებით, წარმოადგენს სახეცვლილ ინფორმაციას, პირველ რიგში, აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

მასმედია, როგორც საზოგადოებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემის სისტემა, დიდ როლს ასრულებს ადამიანების გართობასა და ინფორმირებაში იმ წესებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ სოციალურ სტრუქტურას შეესაბამება. პროპაგანდა კი ქმნის კონფლიქტებს საზოგადოების განსხვავებულ კლასებს შორის. დღესდღეობით, მედიით მოცულ საზოგადოებაში, მასმედია არის მთავარი პლატფორმა და გამოსავალი პროპაგანდისტული

აქტების განსახორციელებლად, რომლის მიზანია მმართველთა მიერ შემოღებული დღის წესრიგის დამკვიდრება.

თავად ტერმინი „პროპაგანდა“ გამოიყენება ჟურნალისტიკაში, რეკლამასა და განათლებაში, ძირითადად, პოლიტიკურ კონტექსტში. მთელ მსოფლიოში პროპაგანდა ავრცელებს აყვავებას, როგორც მოქალაქეების მართვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ეს პრაქტიკა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომავალში შეწყდეს. დღესდღეობით, თანამედროვე მედიის ნებისმიერი პლატფორმა შეიძლება იქნას გამოყენებული მისი მიზნობრივი აუდიტორიისთვის პროპაგანდის მისაწოდებლად, მაგალითად, რადიო, ტელევიზია, პრესა, ფილმები, პლაკატები და სხვა. ვინაიდან, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მედიასივრცეში დგას საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისა და ნებისმიერი ტიპის პროპაგანდის გავრცელების პრობლემა, გადაწყვიტე, კვლევის საგნად სწორედ აღნიშნული საკითხი ამერჩია.

საკვანძო სიტყვები: პროპაგანდა, მედია მანიპულაცია, ყალბი ინფორმაცია, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

Influence of propaganda on modern international and Georgian media scene

Davit Dolidze

Caucasus International University,

Doctoral,

Scientific Supervisor: Marine Vekua,

Professor, Doctor of Journalism

Work describes the influence of propaganda over modern international and Georgian media scene. Starting from the point that propaganda is a form of communication, which aims to impact on public attitude via presenting only one party`s argument relating to any cause or position. It covers a purposeful share of reality, opinions and philosophies, which aim to change the conduct and stimulate the human behavior. It is a kind of form of persuasion, during of which a society is intentionally delivered with unilateral controlled information via mass media. Therefore, mass media and propaganda are undivided.

Propaganda is usually made by governments, but some particular form of massive communications created by other powerful organizations can be also considered as propaganda as well. Unlike delivery of information in an unbiased manner, propaganda (according to its basic understanding) constitutes an altered information designed firstly to influence over the audience.

Mass media – as the system for information`s distribution to society plays a huge role in human`s entertainment and notification with those rules and values, which corresponds to their social structure. And propaganda creates the conflicts between the different classes of society. Today, whilst the society is covered by media, mass media is the main platform and a solution to exercise the propagandist acts, the goals of which are to establish an agenda adopted by rulers.

A term “propaganda” itself is mainly used in a political context in journalism, advertisement and education. Propaganda as the best media for the management of citizens – continues to bloom worldwide and it is less likely to cease this practice in the future. Nowadays, any of modern media platform (for instance: radio, television, press, movies, posters, etc.) may be used for distribution of

propaganda to its target audience. I have decided to chose exactly this topic as a research topic, because the problem of manipulation on public opinion and distribution of any type of propaganda exist in all media scenes of almost every single country of the world.

Keywords: propaganda, media manipulation, false information, formation of public opinion

სადაზვერვო საქმიანობის როლი ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში

მაკა ბასილიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი,

CIU-ს ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი,

პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი,

თითოეულ სახელმწიფოს აქვს მიზნები და ამოცანები საკუთარი ქვეყნის განვითარების, გაძლიერებისა და საერთაშორისო სივრცეში ადგილის დამკვიდრებისათვის. აღნიშნული მიზნები კი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს უსაფრთხო ეროვნულ ინტერესების გატარებას, რომლის უზრუნველყოფაში სადაზვერვო საქმიანობას აქვს დაკავებული მნიშვნელოვანი როლი. იმისათვის, რომ მზვერავმა სახელმწიფომ შეძლოს კონტროლის დამყარება მონყვლადი ადგილების გამოვლენის ფონზე დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში, მან უნდა დააზიანოს ამ ქვეყნის ინტერესები და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოიპოვოს მონაცემები, ასევე განახორციელოს სათანადო კონტროლი ეკოლოგიური უსაფრთხოების სეგმენტებზე. კვლევით დადგინდება ეკოლოგიური დაზვერვის მაკავშირებლები პოლიტიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვასთან. გამოიკვეთება ეკოლოგიური დაზვერვის სამიზნე ობიექტები, გამოყენებული მეთოდები. პრაქტიკულ მაგალითების განხილვასთან ერთად მოხდება პირობითი შემთხვევების შედგენა და ანალიზი, რაც ეკოლოგიური დაზვერვის მიერ განხორციელებული კლასიფიკატორის შედგენაში დაგვეხმარება. კვლევა მოგვცემს შესაძლებლობას გავარკვიოთ ეკოლოგიური უსაფრთხოების მაკავშირებლები სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტებთან. მოგვეცემა პირობითი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების ზომების გამოკვეთის შესაძლებლობა.

აღნიშნული კვლევის აქტუალობა განპირობებულია საკვლევი მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების სიმწირით, პრაქტიკულად შეუსწავლელია. იგი მნიშვნელოვანი იქნება პრობლემით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, სადაზვერვო და კონტრასადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებისათვის, გადანყვეტილების მიმღები ჯგუფებისათვის ფართო საზოგადოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დაზვერვა, ეკონომიკური დაზვერვა, სამხედრო დაზვერვა, სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა, ეკოლოგიური დაზვერვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

Role of intelligence activity in ecological safety

Maka Basiladze

Caucasus International University,
Bachelor,

Scientific Supervisor: Davit Kukhalashvili,
CIU Associate Professor, Doctor of History,
Doctor of Occupational Safety

Each country has goals and tasks for development, strengthening and establishing its place in an international space. The mentioned goals first of all implies exercise of national security interests, in implementation of which an intelligence activity plays significant role. In order to scouting country (on the background of revealing the vulnerable places) would be able to take over the control of scouting object state, it should damage that country`s interests and acquire data coming out of its own state interests, also implement proper control over the segments of ecological safety. The study determines the connectors of ecological intelligence with political, political economic, military and scientific and technical intelligences. There will be shaped target objects of ecological intelligence and the methods applied. Together with discussion of practical examples, conditional occurrences will be made and analyzed, that will help us to make the classifier exercised by ecological intelligence. The study will grant us with opportunity to determine the connectors of ecological intelligence with political, economic, military and scientific and technical intelligence sectors of the country. We will be able to identify the conditional threats and opportunity to shape the response measures for them.

Urgency of the mentioned research is caused by lack of scientific works within the study field, as it is actually unstudied. It will be significant for the researchers interested with problem, for the officers of intelligence and counterintelligence services, decision-making groups and large society.

Keywords: political intelligence, economic intelligence, military intelligence, scientific and technical intelligence, ecological intelligence, ecological safety.

ტერორიზმის სადაზვერვო ხასიათი

მეგი ჯომიდავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი,
CIU-ს ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი,
პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი

საერთაშორისო საზოგადოებისათვის დიდი გამოწვევაა ლატენტური საფრთხე - საერთაშორისო ტერორიზმი. გლობალიზაციასთან ერთად შეიცვალა ტერორიზმის საფრთხეების დინამიკა, მახასიათებლები, სტრატეგიები და მასშტაბები. 2000-იან წლებში დღის

წესრიგში მწვავედ დადგა ეს საკითხი, ტერორისტული დაჯგუფება ალ-ქაიდას მიერ აშშ-ში ორგანიზებული 9/11 ტერორისტული აქტის გამო. რამაც შეცვალა საერთაშორისო წესრიგი, წინა პლანზე წამოიწია არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მნიშვნელობამ, ძალის პრიმატის გადანაცვლებამ სახელმწიფოებრივი აქტორიდან არასახელმწიფოებრივზე. ეს იყო ბიძგი ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოების მასშტაბური კოლექტიური ამოქმედებისა. „ცივი ომის“ პერიოდიდანვე ტერორისტული ორგანიზაციების სახელმწიფოთა ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების პრაქტიკა დაინერგა. საერთაშორისო ასპარეზზე მზვერავი ქვეყნის სამსახურები, ხელისუფლების გამყარება-გაფართოების ფარგლებში, ახორციელებდნენ ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, მოწინააღმდეგე სახელმწიფოების/სამხედრო ბლოკების სადაზვერვო უწყებების მიერ მიმდინარეობდა კონტროლს დაუქვემდებარებელ ტერორისტულ ორგანიზაციებში სადაზვერვო შეღწევალობა. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყებები აქტიურად ჩაერთნენ ანტიტერორისტულ ორგანიზებაში, იმ ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც კუთვნილების სახელმწიფოს ზეგავლენა-შეღწევალობას არ ექვემდებარებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დაზვერვა, ტერორიზმი, უსაფრთხოება, კონტრდაზვერვა.

Intelligence nature of terrorism

Megi Jomidava

Caucasus International University,
Bachelor,

Scientific Supervisor: Davit Kukhalashvili,
CIU Associate Professor, Doctor of History,
Doctor of Occupational Safety

A latent threat – international terrorism is a big challenge for international society. Together with globalization – dynamics, properties, strategies and scales of terroristic threats were also changed. In 2000s this topic was put as an urgent issue in agenda due to 9/11 terrorist act organized in United States of America by terrorist group Al-Qaeda. That has changed an international order, bringing forward the significance of non-state formations – thus moving primacy of force from state actor to non-state one. This was an impulse of international society`s large-scale and collective activation against the terrorism. The practice of using terrorist organizations in favor of state interests was introduced since the Cold War period. Intelligence services of scouting countries of international arena were forming terrorist organizations – thus, strengthening and broadening their authorities. From the other side, intelligence services of rival states / military blocks were attempting / conducting the intelligence penetration into terrorist organizations not subject to control. Therefore, counterintelligence entities of all countries were actively engaged in anti-terrorism campaign against those terrorist organizations, which were not subject to influence-penetration of the country belonging.

Keywords: political intelligence, terrorism, security, counterintelligence.

იფრული მედიის უპირატესობები და საფრთხეები

თამარ ოყუჯავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია,
CIU-ს ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ჟურნალისტიკის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე ყველა თანხმდება. საზოგადოებრივი აზრის შექმნის უნარი - ეს ის მთავარი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის უკვდავებას. მეორე მხრივ, ადამიანს ინფორმაციის მიღების სურვილი დასაბამიდან გააჩნია. მედიის განვითარების რამდენიმე ძირითადი ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ: დამწერლობის, გუტენბერგის საბეჭდი დაზგის, ინტერნეტის შემდეგი პერიოდები. თითოეული მათგანის თავისებურება საინტერესო და ცალ-ცალკე აღნიშვნის ღირსია. რაც შეეხება თანამედროვე მდგომარეობას, დღევანდელი საზოგადოება ინფორმაციულია, შესაბამისად, მედიაც ახალ ასპარეზზე გადასული. ციფრული მედია აერთიანებს, როგორც ტექსტურ, ასევე, ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალებს.

ციფრული მედიის მთავარი ღირებულება მასალათა მულტიმედიურ ფორმატში მომზადება და ოპერატიულობაა. შეიძლება ითქვას, თემის აქტუალურობა წამიერია და ჟურნალისტებსაც მეტი ყურადღება და გამჭრიახობა მართებთ. ჩვენი კვლევის მიზანია, გამოავლინოს: რა ძირითადი განსხვავებაა ტრადიციულსა და ციფრულ მედიას შორის; რა წინალობები, საფრთხეები ახლავს მას თან; რამდენად იცავენ მედია კომპანიები ჟურნალისტურ ეთიკას არსებულ მოცემულობაში.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი მედიის მთავარი ღირსება მის არაერთგვაროვნებასა და გამოხატვის ფორმების მრავალფეროვნებაშია, თუმცა ძირითადი გამოწვევა სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელებული უკონტროლო აგრესიაა, რაც, ხშირ შემთხვევაში, ადამიანების მორალურ შეურაცხყოფას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მედია, ტრადიციული მედია, მულტიმედია პროდუქტი, სოციალური აგრესია.

Advantages and threats of digital media

Tamar Okujava

Caucasus International University,
Master,

Scientific Supervisor: Rusudan Kvaratskhelia

CIU Associate Professor, Doctor of Arts

Everyone agrees on the importance and possibilities of journalism. The ability to create public opinion is the main component that ensures the immortality of the profession. On the other hand, a person has a desire to receive information from the beginning. We can single out several main stages of media development: the following periods of writing, Gutenberg's typewriter, and the Internet. The peculiarity of each of them is interesting and worth noting separately. As for the modern situation,

today's society is informative, therefore, the media has also moved to a new arena. Digital media includes both text and photo, video and audio materials.

The main value of digital media is preparation and operability of materials in multimedia format. It can be considered, that the actuality of the topic is momentary and journalists should also pay more attention and insight. The purpose of our research is to reveal: what is the main difference between traditional and digital media; what obstacles and dangers are accompanied to it; to what extent media companies protect journalistic ethics in the current situation.

As a result of the observation, it was revealed that the main virtue of the new media lies in its heterogeneity and variety of forms of expression, however, the main challenge is the uncontrolled aggression spread through social networks, which, in many cases, contributes to the moral insult of people.

Keywords: digital media; traditional media; multimedia product; Social aggression.

ჰიპოდერმული ნემსის თეორიის გავლენა სოციალურ რეკლამაზე

სოსო გაბდელიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, უურნალისტიკის დოქტორი

თანამედროვე მსოფლიოში მოვლენები სინათლის სისწრაფით ვითარდება. უცვლელი არც სოციალური ლანდშაფტი რჩება. ლოკალურ თუ გლობალურ კონტექსტში მიღწეულ გარკვეულ პროგრესს ხშირად თან სდევს რეგრესიც. დღეს სოციალური გამოწვევები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის კარგად ნაცნობი საკითხია, განსაკუთრებით კი - განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, რომელთა რიგში საქართველოცაა. მედიის პროსოციალური აქტივიზმის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი სოციალური რეკლამაა, რომლის დახმარებით სოციალური პრობლემების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. მისი მისია საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობაა, რაც, პრობლემების გადაჭრასთან ერთად, სასარგებლო ინფორმაციის მასობრივ გავრცელებაშიც გამოიხატება.

სოციალური რეკლამის შექმნისა და წარმოების სპეციფიკის, ასევე, მისი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ჰიპოდერმული ნემსის კონცეფცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან მედიათეორიად შეიძლება მივიჩნიოთ. ლინეარული კომუნიკაციის ეს თეორია, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა, ჯერ კიდევ, საბჭოთა სოციალური პოსტერების შექმნის პროცესში. გარკვეული ხელწერა პოსტტოტალიტარული პერიოდის სოციალურ რეკლამებშიც შემორჩა. გარდა ხსენებული კონცეფციისა, ასევე, მიმოვიხილავთ მასობრივი კომუნიკაციის იმ თანამედროვე თეორიებს, რომლებიც ახლოს დგას სოციალური რეკლამისა და, ზოგადად, მედიის პროსოციალური აქტივიზმის მიზნებსა და ამოცანებთან.

საკვანძო სიტყვები: სოციალური რეკლამა, მედიის პროსოციალური აქტივიზმი, ჰიპოდერმული ნემსის თეორია.

Implications of hypodermic needle theory for social advertising

Soso Gazdeliani

Caucasus International University,
Doctoral,

Scientific Supervisor: Nino Chalaganidze

TSU Associate Professor, Doctor of Journalism

Events in the modern world are developing at the speed of light. The social landscape does not remain unchanged either. Some progress achieved in the local or global context is often accompanied by regression. Today, social challenges are a well-known issue for almost all countries of the world, especially for developing states, among which Georgia is one. One of the powerful tools of media pro-social activism is social advertising, with the help of which social problems can be identified. Its mission is to promote the public good, which, along with solving problems, is manifested in the mass distribution of useful information.

Taking into account the specifics of creating and producing social advertising, as well as its goals and objectives, the hypodermic needle concept can be considered one of the most important media theories. This theory of linear communication probably had a significant influence even in the process of creating Soviet social posters. Some handwriting has also survived in the social advertisements of the post-totalitarian period. In addition to the mentioned concept, we also review the modern theories of mass communication that are close to the goals and tasks of social advertising and, in general, media prosocial activism.

Keywords: social advertising, media prosocial activism, hypodermic needle theory.

არალიარების პოლიტიკა საერთაშორისო სამართალში: ათხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი (case study)

ლიზი დანელია

კავკასიის უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ალფაიძე
სამართლის დოქტორი

"სახელმწიფოს" კონცეფცია არასდროს ყოფილა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთაშორისო სამართალსა თუ ურთიერთობებში, როგორც დღეს არის, ვინაიდან ბოლო წლებში ახალ სახელმწიფოთა რაოდენობა არ შემცირებულა, თუმცა 21-ე საუკუნეშიც კი ჯერ კიდევ არ არსებობს სახელმწიფოს მკაფიო ან კოდიფიცირებული განმარტება. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს აღიარება არის არა სამართლებრივი მოვალეობის, არამედ არსებული ეროვნული ინტერესის მორჩილებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ამასთან, საერთაშორისო სამართალში არალიარების პოლიტიკა წარმოადგენს ნიუანსირებულ არეალს, სადაც სახელმწიფოებრიობის აღიარების უარყოფა პირდაპირ იკვეთება არა მხოლოდ ეროვნულ ინტერესებთან, არამედ ნორმატიულ პრინციპებთან, ადგილობრივ და რეგიონულ

დინამიკასთან და, რაც მთავარია, გეოპოლიტიკურ ინტერესებთან. კითხვა - აქვს თუ არა აფხაზ ან სამხრეთ ოს ხალხს უფლება გამოიყენოს გარე თვითგამორკვევის უფლება, წლების განმავლობაში საკამათო იყო და იქნება. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქმის შესწავლა და შეფასება იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ არაღიარების პოლიტიკის პრაქტიკულ შედეგებზე.

ამის გათვალისწინებით, ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმობა სახელმწიფოებრიობის, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნებების გარშემო არსებულ თეორიულ ჩარჩოს. ნაშრომის მეორე ნაწილი განსაზღვრავს კორელაციას ამ რეგიონებში არსებულ ხარვეზებსა და დღეს საერთაშორისო სამართლით დადგენილ მოთხოვნათა ერთობლიობასთან. ასევე, განხილული იქნება შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პერსპექტივები. და ბოლოს, ყველა იდეა გაერთიანებული იქნება სახელმწიფოებრიობის ნორმატიული მნიშვნელობის ზოგად არგუმენტებთან.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოებრიობა, არაღიარების პოლიტიკა, თვითგამორკვევის უფლება, ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი.

Abkhazia and the so-called South Ossetia (case study)

Lizi Danelia

Caucasus University,

Bachelor,

Scientific Supervisor: Tamar Alphaidze

Doctor of Laws

The concept of "state" has never been more vital in international law or relations than it is today, as the number of new states has not diminished in recent years, although even in the 21st century there is still no clear or codified definition of a state. It can be said that the recognition of the state is not a legal obligation, but the result of a decision made in obedience to the existing national interest. However, the policy of non-recognition in international law is a nuanced area where the denial of statehood is directly related not only to national interests, but also to normative principles, local and regional dynamics and, most importantly, geopolitical interests. The question of whether the people of Abkhazia or South Ossetia have the right to exercise the right to external self-determination has been and will continue to be controversial for years. Evaluating of Abkhazia and the so-called Studying and evaluating the case of South Ossetia provides an opportunity to discuss the practical consequences of the non-recognition policy.

Considering this, the first part of the paper will be devoted to the theoretical framework surrounding the concepts of statehood, self-determination and territorial integrity. The second part of the paper determines the correlation between the gaps in these regions and the set of requirements established by international law today. Also, prospects for reconciliation and peace building will be discussed. Finally, all ideas will be combined with general arguments for the normative meaning of statehood.

Keywords: statehood, non-recognition policy, right to self-determination, territorial integrity, Abkhazia, the so-called South Osetia.

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა პირობით გათავისუფლების არსებულ სისტემასთან მიმართებაში

მარიამ გელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის,
დოქტორანტურა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **გია მეფარიშვილი,**

CIU-ს პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ქვაკუთხედს, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციას კონკრეტული საზღვარსაღარო პირობებით. აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შეღავათის ოპტიმალური და ეფექტური ფუნქციონირება ხშირად მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობასა და მხარდაჭერას, ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა უშუალოდ ემსახურება საუკეთესო პრაქტიკის შექმნას, კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე, გაცვლას. ისეთი ცნობილი უწყებები, როგორცაა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) და სასჯელაღსრულების საერთაშორისო ფონდი (ICPPF) ხელს უწყობს სახელმძღვანელო შორის თანამშრომლობის გამყარებას პირობით ვადამდე გათავისუფლების პრინციპებისა და პროცედურული ნორმების კოლექტიური გაგების მიზნით. ამასთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ცდილობენ ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას, მათ შორის ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორცაა გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები (ცნობილი, როგორც ნელსონ მანდელას წესები), ეს ორგანიზაციები ადგენენ ზუსტ კრიტერიუმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემების ეფექტურობის გაზრდას, ამასთან, ხაზს უსვამენ რეაბილიტაციის, რეინტეგრაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების მნიშვნელობას. ეროვნულ მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია მუდმივი გაუმჯობესების ხელშესაწყობად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა შეესაბამებოდეს სამართლიანობის, რეაბილიტაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს გლობალურ დონეზე. გამომდინარე აქედან, უდავოა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემასთან მიმართებაში მრავალმხრივი და შეუცვლელია, ვინაიდან ამ სისტემების ევოლუცია კომპლექსურად არის გადაჭაჭვული მათ ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერასთან.

საკვანძო სიტყვები: პირობით ვადამდე გათავისუფლება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, სასჯელაღსრულების საერთაშორისო ფონდი, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო.

The role and importance of international organizations in relation to the existing parole system

Mariam Gelashvili

Caucasus International University,

Doctoral,

Scientific Supervisor: Gia Mefarishvili,

CIU Professor, Doctor of Legal Sciences

The parole system in various countries of the world is a cornerstone of criminal justice, which ensures the reintegration of the convict into society under specific supervision conditions. The optimal and effective functioning of the benefit provided by the mentioned law often requires the cooperation and support of international organizations, since the work of international organizations directly serves the creation of best practices, development of research results and recommendations, as well as exchange. Prominent agencies such as the United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) and the International Penitentiary Fund (IPPF) are helping to strengthen cooperation among states to develop a collective understanding of parole principles and procedural norms. In addition, international organizations actively seek to establish international standards and guidelines governing parole practices, including through initiatives such as the UN Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (known as the Nelson Mandela Rules), which set precise criteria aimed at parole. Increasing the effectiveness of release systems, while emphasizing the importance of principles of rehabilitation, reintegration and protection of human rights. Cooperation between national governments and international organizations is essential to promote continuous improvement and to ensure that the parole system is consistent with the principles of justice, rehabilitation and human rights protection at the global level. Therefore, there is no doubt that the role of international organizations in relation to the parole system is multifaceted and indispensable, since the evolution of these systems is intricately intertwined with their guidance and support.

Keywords: parole, rehabilitation, re-socialization, International Penitentiary Fund, United Nations Office of Drugs and Crime.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, დათქმათა მონიტორინგი და შეუსრულებლობის შედეგები

გურამ ლილუაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი,

CIU-ს ასისტენტი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს ქართველის ხახლის ნებას ააშენოს საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო და საქართველოს გახდეს - ევროკავშირის წევრი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული ცხოვრების წესისა და ეკონომიკური კეთილდღეობის დამკვიდრებას. თანამედროვე ეპოქაში საქართველო, როგორც

